აბაშის მუნიციპალიტეტის

ქოლობანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ქოლობანის

ამომრჩევლებთან კონსულტაციის

ოქმი №16

აბაშა 2022 წლის 17 მარტი

2022 წლის 17 მარტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №5 დადგენილების „აბაშის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ'' მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების "1-ლი მუხლის მე-6 პუნქტის "ა'' ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლობანის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 თებერვლის № ბ10.10220556 ბრძანების საფუძველზე, ჩატარდა სოფ. ქოლობანის ამომრჩევლებთან კონსულტაცია (№63.19 საარჩევნო უბნის საზღვრებში) №63 აბაშის საარჩევნო ოლქის (30/09.2021)წ მონაცემებით სოფ. ქოლობანში რეგისტრირებულია 559 ამომრჩეველი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით კონსულტაცია უფლებამოსილია თუ მას ესწრება დასახლების ტერიტორიაზე რეგისტრირებული არანაკლებ 100 ამომრჩეველი. კონსულტაციას ესწრებოდა დასახლებაში რეგისტრირებული 120 ამომრჩეველი.

. კონსულტაციას თავმჯდომარეობდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დიმიტრი ცანავა, მდივანი მერის წარმომადგენელი ქოლობნის ადმინისტრაციულ ერთეულში ტარიელ მიქაძე. კონსულტაციას ესწრებოდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია, ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა ქვილითაია, მუნიციპალური ინსპექციის განყოფილების უფროსი გია კუცია, მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი დათო თოფურია. საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ზურაბ მხეიძე.

დღის წესრიგი:

1. სოფ. ქოლობნის ცენტრში ჭაბურღილის ამოწმენდა და მიმდებარე ტერიტორიის ბეტონით მოპირკეთება 30მ/კვ

2. სოფ. ქოლობანში არსებული 2-რი ხიდე-ბოგირის გამოწმენდა და სათავისების მოწყობა, ერთი ახალი ხიდე-ბოგირის მოწყობა.

კონსულტაცია გახსნა და დამსწრეთ შესავალი სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა დიმიტრი ცანავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალების მიზნით კანონმდებლობიდან გამომდინარე ტარდება დასახლებების საერთო კრებები და კონსულტაციები, ასევე სიტყვით გამოვიდნენ მერის მოადგილე გიგა ჯვარელია და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი მირზა ქვილითაია, მათ ისაუბრეს ასევე კონსულტაციის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებზე.

განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის," ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები პრიორიტეტის მიხედვით

მოისმინეს:

1. სოფ. ქოლობნის ცენტრში ჭაბურღილის ამოწმენდა და მიმდებარე ტერიტორიის ბეტონით მოპირკეთება 30მ/კვ

2. სოფ. ქოლობანში არსებული 2-რი ხიდე-ბოგირის გამოწმენდა და სათავისების მოწყობა, ერთი ახალი ხიდე-ბოგირის მოწყობა.

/მომხს. მ. ქვილითაია/

მომხსენებელმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

კონსულტაციაზე მხარდაჭერილ და მოწონებულ იქნა წარმოდგენილი პროექტები.

კენჭისყრის შედეგები:

დამსწრე – 120 ამომრჩეველი.

მომხრე – 120

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს:

პრიორიტეტების მიხედვით პროექტების ჩამონათვალი

1. სოფ. ქოლობნის ცენტრში ჭაბურღილის ამოწმენდა და მიმდებარე ტერიტორიის ბეტონით მოპირკეთება 30მ/კვ

2. სოფ. ქოლობანში არსებული 2-რი ხიდე-ბოგირის გამოწმენდა და სათავისების მოწყობა, ერთი ახალი ხიდე-ბოგირის მოწყობა.

(მხარდაჭერა დადასტურებულ იქნა შესაბამისი ხელმოწერებით, ოქმს თან ერთვის).

დასახლების კონსულტაციის თავმჯდომარე: ცანავა

დასახლების კონსულტაციის მდივანი: ტ. მიქაძე